პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტული საქართველო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ივლისი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 146 (9557) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი

28 ივლისი

● ოქროს მედლები — **ბადრი ჯანიაშვილი, ზვიად მამუკელაშვილი, ფრიდონ ყვავილაშვილი, დანიელ აკოფიანი;**

● ვერცხლის მედლები — **მამუკა კურდღელაშვილი, მორის სუკასიანი, დავით ბედიანაშვილი;**

● ბრინჯაოს მედლები — **მურთაზ თურქია, ალექსანდრე თანდიაშვილი, მერაბ ტოტიკაშვილი, დავით ბიძინაშვილი.**

სამგისტების 11 მედალი

სამგოში თამაშების ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად 156 მოჭიდავე იბრძვის. მათ შორის 26 საქართველოს ფალავანია: 16 ჭაბუკი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდის, 7 — „უროჟაის“ შემადგენლობაში, სამი — „დინამოს“ ღირსებას იცავს.

35 კგ წონაში გიორგი რუსეიშვილმა ქვეჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. საკავშირო თამაშების დებულების მიხედვით, ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასული სპორტსმენები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს ოქროს მედლებისათვის, ქვეჯგუფებში მეორემესამე ადგილებზე გასულნი კი ოლიმპიური სისტემით ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ. ასე რომ, რუსეიშვილსა და მის თანაგუნდელს მევლუდ მელაძეს (41 კგ) შეუძლიათ მესამე ადგილი დაიკავონ.

სამ-სამი მოგებით ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ და ფინალში ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ მამუკა კურდღელაშვილი (44 კგ), ზვიად მამუკელაშვილი (53 კგ), მორის სუკასიანი (59 კგ). ფრიდონ ყვავილაშვილი (71 კგ), დავით ბედიანაშვილი (74 კგ). ქვეჯგუფში თითო შეხვედრა დარჩათ ჩასატარებელი ბადრი ჯანიაშვილსა (38 კგ) და ალექსანდრე თანდიაშვილს (68 კგ). გამარჯვების შემთხვევაში (თანდიაშვილმა მხოლოდ წმინდად უნდა მოიგოს) ისინიც ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ, დამარცხებულებს კი მესამე ადგილებისთვის მოუწევთ სარბელზე გამოსვლა. 50,77 და +77 კგ წონით კატეგორიებში. საქართველოს ნაკრების სამივე წევრი — მურთაზ თურქია, გრიგოლ გავარდაშვილი და გიორგი ხურციძე საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებდნენ.

ოქროს მედლისთვის ფინალში იბრძოლებს დანიელ აკოფიანი (65 კგ, „დინამო“, სოხუმი). დარჩენილი თითო შეხვედრის მოგების შემთხვევაში არჩილ ბიძინაშვილი (62 კგ, „დინამო“, თბილისი) და მერაბ თოთიკაშვილიც (59 კგ, „უროჟაი“, გარდაბანი) ფინალში მოხვდებიან, თუ დამარცხდნენ, მესამე ადგილისათვის იბრძოლებენ. საპრიზო ადგილების მოპოვება შეუძლიათ ბესიკ ბუჩოშვილსა (53 კგ, „უროჟაი“, საგარეჯო) და ერდვენ მარტიროსიანს (68 კგ, „დინამო“, სოხუმი).



ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲔᲠᲘᲪ ᲓᲐᲓᲒᲐ

გუშინ თბილისში „ბურევესტნიკის“ სპორტულ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ჭაბუკ ხელბურთელთა ტურნირი. წინა დღით მოსწავლეებმა ჩააბარეს საკონტროლო ნორმატივები, გუშინ კი პირველი სამი შეხვედრა გაიმართა. გაგაცნობთ მათ შედეგებს: პროფკავშირები-II — დასავლეთი ზონა — 24:26 (10:16), პროფკავშირები-I — „უროჟაი“ 21:20 (11:10), სამხრეთი ზონა — რსფსრ-ის განათლების სამინისტრო 20:34 (8:15).

დღეს შეჯიბრებაში ჩაებმება „ბ“ ქვეჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებიც — იგი რფსრ-ის განათლების სამინისტროს გუნდს შეხვდება.

ჭაბუკთა ტურნირი 4 აგვისტოს დამთავრდება.

დღეს თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლის სპორტულ კომპლექსში (ბულდანში) იასპარეზებენ გოგონათა ის გუნდები, რომლებიც გუშინ საკონტროლო ნორმატივებს აბარებდნენ. საქართველოს ნაკრები („ბ“ ქვეჯგუფი) პროფკავშირების II გუნდს შეხვდება. გოგონათა ტურნირის გადამწყვეტი მატჩები 3 აგვისტოს გაიმართება.



ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

საქართველოს მოჭადრაკე გოგონათა მოულოდნელმა წარუმატებლობამ ყველა აოცა. ვინ წარმოიდგინდა ტურნირის ფავორიტი ფინალურ ექვსეულში თუ ვერ მოხვდებოდა.

ბიჭები, როგორც ვიუწყებოდით, ფინალურ ექვსეულში გავიდნენ, დარჩენილ სამ პარტიაში მათ ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ სატურნირო ცხრილში ღირსეული ადგილი დაიკავონ. ... ვინ როგორ ითამაშა ფინალური ტურნირის I ტურში: რომან სიჭინავა — ვიტალი მოლოლკინი — 0,5:0,5, აკაკი იაშვილი — კონსტანტინე იაკუბოვსკი — 0:1, დავით უთმელიძე — კაირატ ამირხანოვი — 0,5:0,5, შოთა კუჭუხიძე — ანდრეი მოლოლკინი — 0:1, იოსებ კვირიაშვილი — ალექსანდრე კრივონოგოვი — 0:1, გივი ქორიძე — ნაგომ კულიევი — 1:0.

ჭაბუკთა ტურნირში ამ შეხვედრის გარდა არც ერთი მატჩი არ დამთავრებულა. ბევრი პარტია გადადებულია. გთავაზობთ გოგონათა ფინალური ტურნირის სასტარტო ტურის შეხვედრათა შედეგებს: საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთი ზონა — უკრაინა — 2:1, რსფსრ — საკავშირო პროფკავშირები I — 1.5:1.5, პროფკავშირები II — დასავლეთის ზონა — 2:1.

ტრადიციული მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების ნაცვლად, როგორც ცნობილია, სპორტული სკოლების მოსწავლეთა თამაშები წელს პირველად ტარდება. ეს ორი ასპარეზობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ერთადერთი საზომი — მედლები უცვლელი რჩება. დღეს მკითხველს საშუალება ეძლევა ერთმანეთს შეადაროს ბოლო მოსწავლეთა სპარტაკიადისა და ახლანდელ თამაშებში რესპუბლიკის სპორტსმენთა შედეგები (მედლები) სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც უკვე დამთავრდა.

სპორტის სახეობა	მოსწავლეთა XVII სპარტაკიადა				სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშები			
	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
მძლეოსნობა	0	0	1	1	2	1	2	5
სპორტული ტანვარჯიში	4	1	3	3	2	0	2	4
ძალოსნობა	0	1	0	1	0	1	1	2
წყალბურთი	0	0	0	0	0	0	1	1
ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე)	0	0	0	0	0	0	1	1
კრივი	2	1	4	7	5	4	4	13
ცურვა	0	0	0	0	0	0	0	0
საგზატკეცილო ველოსიპედი	0	0	0	0	0	0	0	0
სულ	6	3	8	17	9	6	11	26

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲐᲡᲐᲠᲘᲫᲚᲝᲑᲡ

ახლახანს საკავშირო სპორტსახკომმა განიხილა ჩვენს ქვეყანაში მხატვრული ტანვარჯიშის მდგომარეობა, ამ სახეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები და დასახა ღონისძიებები. ამიტომაა დიდი ყურადღება რომ ეთმობა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტურნირს, რომელსაც სპეციალისტები საბჭოთა ტანვარჯიშის რეზერვის დათვალიერებად მიიჩნევენ.

ბათუმი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ამ ასპარეზობას. წინასწარ გაწეული საორგანიზაციო მუშაობით კმაყოფილნი არიან მსაჯები, მწვრთნელები და ტურნირის მონაწილენი.

ყოველ გუნდს ჰყავს შეფი ორგანიზაცია, რომელიც ნორჩ სპორტსმენთა გართობა-დასვენებაზე ზრუნავს: აწყობს კატარღებით ზღვაზე გასეირნებას, შეხვედრებს საქალაქო პიონერთა ბანაკებში, ექსკურსიებს ღირსშესანიშნავ ადგილებში და სხვა კულტურულ ღონისძიებებს.

ბათუმში საასპარეზოდ ჩამოვიდა 10 გუნდი. სწორედ ის კოლექტივები, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინ აქ გამართულ სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ტურნირში მონაწილეობდნენ: განათლების სამინისტროს დასავლეთისა და სამხრეთის ზონების გუნდები, „შრომითი რეზერვები“, „დინამო“, „ბვლ“, არმიის, რუსეთის და უკრაინ...



განათლების სამინისტროს, საქართველო... წარმომადგენლები და პროფკავშირების ორი გუნდი.

როგორია ჩვენი გუნდის შესაძლებლობები, — ვეკითხებით საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ლანა მეყანწიშვილს.

— მწვრთნელები ვარაუდის გამოთქმას ვერიდებით. საქმე ის არის, რომ მეტოქეები თითქმის არ იცნობენ ერთმანეთს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ლამაზად, სტაბილურად გამოვიდეთ. ამ ტურნირს ყოველი მწვრთნელი ძალთა თავისებურ დათვალიერება-შემოწმებად მიიჩნევს ჭაბუკთა მომავალი წლის საკავშირო თამაშებისათვის. საშუალება მოგვეცა გავეცნოთ საერთოდ საბჭოთა მხატვრული ტანვარჯიშის რეზერვს, ჩვენს მომავალ მეტოქეებს და მათთან ჭიდილში ჩვენი ტანმოვარჯიშეების შესაძლებლობები განვსაზღვროთ.

საქართველოს სპორტულ ღირსებას ამ ტურნირზე თბილისელი ეკა ცხადაძე, ბელა ყილაიევა და ლანა სიდანოვა, რუსთაველი ოლგა ულენშპერგერი და ელადა კოზმოვა, ბათუმელი ზოია მერიციდი დაიცავენ.

დღეს მოეწყო მოსწავლეთა საერთო ფიზიკური და თეორიული მომზადების შემოწმება.

იხ. გვ. 2 და 3

და მაინც საფიქრალი...

ასეთ მძაფრ ციაენტოტში მძლეოსანთა მწვრთნელები ალბათ არასოდეს ყოფილან. ვგულისხმობ იმ სპეციალისტებს, რომლებსაც სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის გუნდების მომზადება დაეკალათ. ამა წლის იანვრამდე მათთვის და, ცხადია, სხვებისთვისაც, შეჯიბრების დებულებაც უცხო იყო და მონაწილეთა ასაკიც. როდესაც ყველაფერი გაირკვა, მარაგში“ 6 თვეღა რჩებოდა.

მოკლე ხანში ნორჩი მძლეოსნის მომზადება ციცაბო ბილიკზე სიარულსა ჰგავს. ერთი შეცდომა და, ბავშვი შეიძლება საერთოდ დაიკარგოს სპორტისათვის. არადა, დრო ბევრი განსჯისა და ანალიზის საშუალებას არ იძლეოდა.

თამაშებში ჩვენმა მძლეოსნებმა ექვსი მედალი მოიპოვეს და საიმედო პერსპექტივაც აქვთ. მზადება ისე დინამიურად მიმდინარეობდა, შედეგები ისე სწრაფად იცვლებოდა, რომ თვით გადამწყვეტი სტარტების წინაც კი ჩვენი მწვრთნელები დიდი სიფრთხილით ლაპარაკობდნენ თავიანთი შეგირდების მოსალოდნელ მაჩვენებლებზე.

საბოლოოდ სამი მედლის მოპოვებას ვარაუდობდნენ და ექვსი მიიღეს, მეათე ადგილზე ფიქრობდნენ და მერვეზე გავიდნენ... მიუხედავად ამისა, საფიქრალი და განსასჯელი მაინც ბევრი რამ დაგვიტოვა ამ ასპარეზობამ. გვესაუბრება გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზ. ჯარაშვილი.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით მომავალ მეტოქეებთან მატჩების ჩატარებას: რამდენჯერმე მოვაწყვეთ ამხანაგური შეხვედრა ამიერკავკასიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, მოლდავეთისა და ბელორუსიის გუნდებთან. საგანგ...

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲗᲐ წᲘᲜ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ უახლოესები ფეხბურთელთა ტურნირის ჯგუფური გათამაშება. გუშინ გაიმართა IV ტურის შეხვედრები, ხვალ — გადამწყვეტი მატჩებია.

შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების დებულების თანახმად ნახევარფინალებში ერთმანეთს ხვდებიან „ა“ ჯგუფის გამარჯვებული და „ბ“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული, აგრეთვე „ბ“ ჯგუფის გამარჯვებული და „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი, ორივეს მატჩი 1 აგვისტოს შედგება თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე. მატჩების დასაწყისი—15 და 18 საათზე. კვირას ამავე სტადიონზე გაიმართება მატჩი III ადგილისთვის (15 ს.), ხოლო ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 18 საათზე ითამაშებენ პირველი ადგილის პრეტენდენტები.

პირველ ორ ტურში ფრედ დამთავრებული თამაშების შემდეგ თანდათან ძალას იკრებს საქართველოს ნაკრები. უდავოდ, ჩვენი გუნდი კარგია, მასში რამდენიმე ფრიად პერსპექტიული ფეხბურთელიც გამოდის, თუმცა, არ შეიძლება ნაკლოვანებებზეც არ მივუთითოთ ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებს. ესაა ინდივიდუალური თამაშით მეტისმეტი გატაცება, კოლექტიურ კომბინაციურ მოქმედებათა სიმცირე, შეცდომები დაცვაში და ა. შ.

საქართველოს გუნდი III ტურში „შრომითი რეზერვების“ ნაკრებს შეხვდა. ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ დაიწყეს თამაში, ჯერ ნემსაძემ გაიტანა 11-მეტრიანი, შემდეგ კი ტუღუშმა ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი. ამ პერიოდში საქართველოს ნაკრების უპირატესობა ცხადი და აშკარა იყო, „შრომითი რეზერვები“ დიდი ანგარიშით დამარცხების საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. მაგრამ მასპინძელთა შეტევების სიმძაფრემ თანდათან იკლო, მწვრთნელებმა რამდენიმე წამყვან მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცეს და მეორე ტაიმში სტუმრების კარში მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა. ეს 76-ე წუთზე გაკეთა თვაურმა. გარდა ამისა, ნასუაშვილმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანიც. საბოლოოდ — 4:0.

III ტურში სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: **„ა“ ჯგუფი.** საბჭოთა არმია — უკრაინის განათლების სამინისტრო 1:2, პროფკავშირები-I — განათლების სამინისტრო (დასავლეთი ზონა) 3:0; **„ბ“ ჯგუფი** — „დინამო“ — განათლების სამინისტრო (სამხრეთი) 1:0, პროფკავშირები-II—რსფსრ-ს განათლების სამინისტრო 0:2.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხა არმიელთა გუნდი.

მადონა წიქარიშვილი

ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲘ...

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ბოდ ვარჩევდით ისეთ მასობრივ ტურნირებს, რომ ბავშვებს წარმოდგენა შექმნოდათ სპორტსკოლების მოსწავლეთა მომავალი თამაშების მასშტაბზე.

დიდად დაგვეხმარნენ ორგანიზაციები: ერთი საწვრთნელი შეკრება თბილისის განათლების სამმართველომ მოაწყო, ორი — გამათლების სამინისტრომ, დასკვნითი შეკრებების ორგანიზება სპორტსახკომმა ითავა.

მონდომებით იმუშავეს მწვრთნელებმა სერგო ქავთარაძემ, ბორის კიუტმა, მარინა კოსოვამ, უარამან საბანაშვილმა, დავით მელაძემ, ჯუმბერ მაისურაძემ, სერგეი აივაზიანმა...

გაისად ჩვენი გუნდის ნახევარი მაინც მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში. ამ ასპარეზობისთვის მზადება უკვე დაიწყო — მალე ბავშვები საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრებიან. საჭიროა „ტემპი არ დავკარგოთ“...

ჩვენთან საუბარში უფროსმა მწვრთნელმა რამდენიმე პერსპექტიული მოზარდის შესახებაც ისაუბრა, მართლაც, ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩემპიონების, ბათუმელი ვადიმ ბობილიოვისა და სოხუმელი ლეონიდ ფიტოზოვის მიღწევები. მათ მრავალჭიდის სამი სახეობიდან ორი მოიგეს (ვადიმმა — 110 და 300 მეტრზე თარჯრბენი, ლეონიდმა — 100 და 200 მეტრზე რბენა), მესამეში კი მეორე ადგილები დაიკავეს და აშკარა უპირატესობით აჯობეს მეტოქეებს. საყურადღებოა ნიჭიერი თბილისელი გოგონას დიანა ხუბაშვილის გამოსვლაც. დიანას სულ 0,1 წამი დააკლდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე. ნიჭი და მონდომება გამოიჩინეს შეჯიბრების პრიზიორებმა — ხარაგაულის რაიონის სოფელ საქასრიას მკვიდრმა მადონა წიქარიშვილმა და თბილისელმა იგორ ვორონოვმა. თბილისელმა ალექსანდრე ბოლქვაძემ ოქროს მედალი მოიპოვა საერთო ფიზიკურ მომზადებაში, რაც ამ ჭაბუკის უდავო პერსპექტიულობაზე მიგვანიშნებს.

ცალკე უნდა ითქვას შეჯიბრების ორგანიზაციაზე. სპორტკომბინატ „დინამოს“ მუშაკები სპორტკომბინატის დირექტორ ვაჟა ყლენტის მეთაურობით ასპარეზობის დროს დაუღალავად შრომობდნენ. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ



იგორ ვორონოვი.

მძლეოსნებს ხელი არაფერში შეშლოდათ.

აუცილებლად უნდა ითქვას მსაჯთა კოლეგიის მუშაობაზე, რომელსაც გამოცდილი არბიტრი კონსტანტინე მალიშკოვი ხელმძღვანელობდა. ნორჩ მძლეოსნებს „დინამოს“ სტადიონზე ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად.

ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲐᲠᲐᲨᲘᲐᲜᲘ, მძლეოსანთა ტურნირის კომისარი

თქვენს სპეციალისტებს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობათა ჩატარების გამოცდილება აქვთ, მაგრამ ახალმა დებულებამ საქმე ისე გაართულა, თუ არა წინასწარი ხანგრძლივი გულმოდგინე მომზადება, შეჯიბრების ასეთ მაღალ დონეზე ხელმძღვანელობას ისინიც კი ნამდვილად ვერ შეძლებდნენ.

21-ᲨᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲘᲗᲘ

მრავალჭიდი № 7 (სიგრძე+სიმაღლე+60 მ.). 1. ტ. სელეზნიოვი („ურალი“, 566+163+7,7) —2404; 2. რ. კლიმაშუსკაიტე (დასავლეთი ზონა) — 2381; 3. ი. მიხალჩენკო — (პროფკავშირები-II) — 2264.

ჭაბუკები. მრავალჭიდი № 12 (60 მ.+ჭოკი). 1. კ. არკოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ, 7,3+4,30) — 1708 ქულა; 2. ს. კვიტჩენკო („დინამო“) — 1666; 3. ა. ნაუმენკო („ურალი“) — 1642... 14. ს. გენშაფტი (საქართველო) — 1233.

მრავალჭიდი № 11 (სამხტომი+სიგრძე+60 მ.). 1. დ. კურბატოვი (საბჭოთა არმია, 13,77+6,73+7,2) — 2103 ქულა; 2. ა. შერეშკოვი (პროფკავშირები-I) — 2032; 3. ა. გაპონოვი (დასავლეთი ზონა) — 1838... 7. მ. მიქაბერიძე (საქართველო) — 1685.

21-ᲨᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲚᲘᲗᲘ

ᲪᲣᲠᲕᲐ. ᲮᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ.

გოგონები. თავისუფალი სტილი. 50 მ. ა. ვასილიევა (პროფკავშირები-I) — 28,61, ტ. კუზმინა (პროფკავშირები-II) — 28,81, ე. შუბინა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 28,09... IX. ნ. ზოსიმოვა — 30,23, ...XVI — ნ. მარტინოვა — 30,13, ...XXII — ტ. მხითაროვა (ყველა—საქართველო)—30,71, **400 მ.** ი. ზაბოლოტნიკოვა (პროფკავშირები-II)— 4.38,77, ო. გნედიუკი (პროფკავშირები-I) — 4.39,51, ტ. სტეფანოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) —4.40,08. ...XVIII — მ. საფარიანი —5.01,15, ...XXII მ. ასატურიანი (ორივე—საქართველო) 5.14,71; **ბრასი 100 მ.** ა. მახოვა (პროფკავშირები-I) — 1.17,00; მ. ტარასოვა—1.17,32, ნ. მოსკალენკო (ორივე—პროფკავშირები-II) —1.19,43.... VIII თ. წიკლაური — 1.21,32, ...XIII ო. იაკუშევა — 1.23,04, ...XVI მ. კოლესნიკოვა (სამივე—საქართველო) — 1.23,98; **გულაღმა. 200 მ.** ტ. კალიანოვა (პროფკავშირები-I) — 2.30,87, ე. სმოტრაკოვა (საბჭოთა არმია) — 2:32,66; მ. გირშინა (პროფკავშირები-I) —2.33,02, ...XXIII ე. რატიანიძე — 2,46,46, ...XXVII ი. ხარჩილავა — 2.48,55, ...XXIX ე. ტერეგუნოვა (სამივე — საქართველო) — 2.49,11; **ესტაფეტა. 4X200 თავისუფალი სტილი.** პროფკავშირები-1 — 9.03,47, პროფკავშირები-II — 9.14,69, „დინამო“ — 9.16,29, ...VII საქართველო — 4.49,23.

ბიჭები. თავისუფალი სტილი— 50 მ. ა. ერმაკოვი — 27,16, ა. პეგარკოვი (ორივე — პროფკავშირები-I) — 27,16, ს. უსოვი („დინამო“) — 27,33, ...XIII დ. კანარევი — 28,34, ...XVII ლ. ერმიშიანი — 28,69, XVIII ი. კირიკიანი (სამივე—საქართველო) —28,69; **400 მ.** დ. პონკრატოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 4.22,87, ა. კამენცევი (პროფკავშირები-I) — 4.25,72, დ. ნესტერენკო (უკრაინის განათლების სამინისტრო) — 4.32,75, ...XXI, კ. ჯეირანიანი — 4.43,86, ...XXXI შ. ხუნაშვილი — 4.50,22, ...XXXII გ. არუთიუნოვი (სამივე — საქართველო) — 4.50,97;

(გაგრძელება იქნება)

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲙᲝᲚᲔ�გᲐ?

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲕᲔᲡᲔᲚᲘᲜᲘ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲜᲘᲙ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ.

— ნება მომეცით, შეჯიბრების სპორტულ მხარეზე არ ვილაპარაკო, რადგან ამას ყველა შედეგებით ვიგებთ. ახლა, ვინც 16 წლისაა, ე. ი. იმ ასაკის სპორტსმენები, ვინც სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში მონაწილეობენ, ოლიმპიური ციკლით რამდენიმე წელიწადში ნაკრებში ითამაშებენ. და მათ, ვინც დღეს ჩვენთვის უცნობნი არიან, ცოტა ხანში ლიდერთა შორის ვიხილავთ.

თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის. და მთავარი პრესცენტრის მისამართით არანაირ კეთილ სიტყვას არ დავიშურებ. შეჯიბრება მშვენივრადაა ორგანიზებული. პრესცენტრი დროულად გვაწვდის საჭირო ინფორმაციებს. ჟურნალისტებს მუშაობისათვის კარგი პირობები გვაქვს შექმნილი.

დიდი მადლობა იმისათვის, რომ მიუხედავად ზამთარში გადატანილი ამდენი უბედურებისა, მაინც თქვენებური სტუმართმოყვარეობითა და გულიანი ღიმილით გვმასპინძლობთ.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲕᲐᲟ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ: ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ—ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ — 3:0, ᲠᲡᲤᲡᲠ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—3:2. ᲓᲦᲔᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ III ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲡ.

ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ







ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲠᲝᲡ; ᲤᲝᲗᲨᲘ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲖᲔ; ᲮᲝᲑᲘ - ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲔᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ (ᲤᲝᲢᲝ ᲨᲣᲐᲨᲘ — ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ).

ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲙᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ამ შაბათ-კვირას გამართულ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩების ტექნიკური მონაცემები ასეთია:

„დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 1:1 (0:0). გოლები: მოსტოვოი („სპარტაკი“), სტუკაშოვი („დინამო“).

გაფრთხილეს დინამოელები მოროზოვი, დემიდოვი, სკლიაროვი, ტიმოშჩენკო, აგრეთვე, სპარტაკელი პასულკო.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო“ (მინსკი) — „ნეფთჩი“ 1:2 (0:1). გოლები: ჰუსეინოვი, ალაპვერდიევი-2 („ნეფთჩი“), მეტლიცკი („დინამო“)

დუბლიორები — 2:0.

„ყალგირისი“ — „არარატი“ 2:0 (1:0). გოლები: პანკრატიევი, ბარანუსკასი („ყალგირისი“).

გაფრთხილეს ერევნელი ფეხბურთელი კამალიანი.

დუბლიორები — 0:0.

„დნეპრი“ — „მეტალისტი“ 2:0 (1:0). გოლები: ტიშჩენკო, პროტასოვი („დნეპრი“).

გაფრთხილეს ხარკოველი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 2:0.

„შახტიორი“ — „ტორპედო“ 1:2 (0:1). ტორპედოელი გრიშინის მიერ გატანილ ორ ბურთს მატჩის ბოლო წუთზე ერთით უპასუხა დონეცკელმა სვისტუნმა.

გაფრთხილეს ი. სავიჩევი („ტორპედო“) და გრაჩოვი („შახტიორი“).

დუბლიორები — 0:1.

ცსკა — „დინამო“ (კიევი) 0:2 (0:1). ბურთები გაიტანეს ზავაროვმა და კუზნეცოვმა.

დუბლიორები — 2:1.

● **უმაღლესი** ლიგის გუნდებისთვის დაწესებულ ფრთა ლიმიტს მჭიდროდ მიუახლოვდნენ ტორპედოელები — 9 მატჩი, 8-8 შეხვედრა დაამთავრეს ფრედ „სპარტაკმა“ (მოსკოვი) და „დინამომ“ (მოსკოვი).

● **ბანვლილ** ტურში საინტერესო ამბები მოხდა: მასპინძლებმა მოიპოვეს 3 გამარჯვება, ასევე სამჯერ გაიმარჯვეს სტუმრებმაც, 2 მატჩი დამთავრდა ფრედ. თანაბრად გაიყო გატანილი ბურთების რაოდენობაც: მასპინძლებმაც და სტუმრებმაც 9-9 ბურთი გაიტანეს.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირს ვილნიუსელ ა. ნარბეკოვასს დაეწია დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვი, თითოეულ მათგანს ახლა 10-10 ბურთი აქვს გატანილი.

● **დონეცკის** „შახტიორი“ და მინსკის „დინამო“ პირველად დამარცხდნენ საკუთარ მინდორზე, უმაღლეს ლიგაში ახლა მხოლოდ ვილნიუსის „ყალგირისია“, რომელსაც შინ ჩემპიონატის მატჩი არ წაუგია. შარშანდელმა ჩემპიონმა კიევის „დინამომ“ წლეულს პირველი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად, მეტოქის მინდორზე ასევე პირველად მოიგო თამაში ბაქოს „ნეფთჩიმ“.

● **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრი“ 10 ტურია წაუგებლად იბრძვის.

● **ბრძოლა** ჩემპიონის წოდებისთვის სულ უფრო და უფრო მწვავდება. მოსკოვის „სპარტაკს“ (26 ქულა) მჭიდროდ მიუახლოვდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, „მოსკოვის „ტორპედო“ (23-23) და ვილნიუსის „ყალგირისი“ (22), ამასთან „დნეპრსა“ და „ყალგირისს“ თითო მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

გათამაშების ცხრილი

დუგლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 ივლისისთვის

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	19	13	1	5	50-23	27
„დნეპრი“	18	12	3	3	34-15	27
„ყალგირისი“	17	6	10	1	23-10	22
„დინამო“ კ.	15	9	2	4	30-21	20
„დინამო“ მნ.	18	7	5	6	31-22	19
„ქაირათი“	18	7	5	6	27-26	19
„ნეფთჩი“	18	7	5	6	17-24	19
ცსკა	19	8	2	9	29-33	18
„შახტიორი“	17	6	6	5	15-13	18
„ტორპედო“	19	5	7	7	13-19	17
„დინამო“ მ.	16	7	2	7	18-17	16
„ზენიტი“	19	5	6	8	24-37	16
„გურია“	17	5	3	9	16-32	13
„მეტალისტი“	18	4	4	10	15-26	12
„დინ.“ თბ.	17	3	5	9	22-32	11
„არარატი“	17	2	4	11	20-35	8

„დინამო“ — გულშემატკივარი

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, „დინამოსა“ და იაროსლავლის „შინაკის“ სათასო მატჩის შემდეგ ამას წინათ მოეწყო გულშემატკივრების შეხვედრა დინამოელთა კოლექტივთან. ამ შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. საკითხით დაინტერესდნენ სოციოლოგებიც.

საზოგადოებრივი აზრი შეისწავლა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიურმა განყოფილებამ. მეცნიერები შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის სფეროსა და ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის წარმომადგენლებს. კვლევის შედეგს, რომელიც სოციოლოგებმა მოგვაწოდეს, დღეს გთავაზობთ.

საერთო შთაბეჭდილებით გუნდისა და გულშემატკივრების პრესკონფერენციამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ მისი საბოლოო შედეგებით ერთი ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. ზოგიერთმა, კერძოდ, გულშემატკივრებმა, რომლებიც ჩვეულებრივ კიროვის პარკში იკრიბებიან, დასაწყისშივე ხელის ჩაქნევით დატოვეს ტრიბუნები.

საერთო შთაბეჭდილება კი ასეთია: 1. პრესკონფერენციის ორგანიზაცია არ იყო სათანადო დონეზე (გულშემატკივრები არ აცლიდნენ ერთმანეთს ლაპარაკს, მკაფიოდ არ ისმოდა დასმული შეკითხვები, ზოგმა გადაუხვია თემას და ა. შ.);

2. პასუხები არ იყო გულწრფელი, იგრძნობოდა შაბლონი;

3. პასუხებმა არ გაამართლა აუდიტორიის მოლოდინი, ისინი ხშირად არ ესადაგებოდა შეკითხვას;

4. დაუკმაყოფილებლობა თავიდანვე განსაზღვრა იმან, რომ გულშემატკივართა შორის ბევრი იყო „დინამოს“ ძველი მწვრთნელის ნ. ახალაცის მომხრე.

საერთო აზრით ასეთი პრესკონფერენციის ჩატარება მხარდასაჭერია, მაგრამ იგი უმჯობესია ჩატარდეს დახურულ შენობაში, ტელევიზიის მონაწილეობით.

გულშემატკივართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „დინამო“ ახლა ისეთ ყოფაშია, მას ვეღარავითარი პრესკონფერენცია ვეღარ იხსნის. ნაწილი არ ეთანხმება ნ. ახალაცის გუნდიდან განთავისუფლებას, კ. ასათიანი, თუმცა, ნიჭიერი პიროვნებაა, მაგრამ მას სუსტი მხარეები აქვს. ამჟამად მისი წასვლა „დინამოდან“ არ შეიძლება, რადგან არ გვყავს უკეთესი კადრი. გუნდში არ არიან გამოკვეთილი ლიდერები. ამიტომ შესაძლოა მოწვეულმა მწვრთნელმაც ვერ მიაღწიოს სასურველ შედეგს. გამოიკვეთა ის აზრიც, რომ წარსულში ფეხბურთელთა გუნდში ჩაირიცხა ბევრი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ღირსი არ იყო. შენიშნავენ, რომ თვით ფეხბურთელებს არ შესტკივათ გული „დინამოზე“, ისინი ანგარიშს არ უწევენ ფეხბურთისადმი სიყვარულს და ეროვნულ თავმოყვარეობას. მატერიალურად ყველა დაკმაყოფილებულია. ფეხბურთელებმა იციან ისიც, რომ I ლიგაში შეიძლება კიდევ უფრო უკეთესი პირობები შეუქმნან, ამიტომაც გულარხეინად არიან. ორჯონიკიძის სახელობის პარკის გულშემატკივართა აზრით თბილისის „დინამო“ დატოვებს უმაღლეს ლიგას. სხვებს მიაჩნიათ, რომ „დინამო“ კვლავ აღორძინდება და მომავლის იმედი რომ არა, გუნდს მაყურებელი ამდენს არ აპატიებდა. შემობრუნებას უკავშირებენ გუნდში ლიდერთა გამოჩენას. ამიტომ, გულშემატკივართა აზრით, მთელი ყურადღება ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ძიებაზე უნდა იქნას გადატანილი.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიის განყოფილება.

ტურნირის შემდეგ გორში

ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ გორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საჯიდაო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ძიუდოში. ერთმანეთს შეეჯიბრნენ საფრანგეთის ნაკრები და გორის ორი გუნდი. პირველ ნაკრებს გამარჯვებები მოუტანეს ენგური გოგიჩაშვილმა (დაამარცხა მარსელ პეტერი) და კობა კურტანიძემ (დაამარცხა სტეფან ტრენო).

მეორე ნაკრების შეხვედრაში, ბრუნო კარაბატემ მოუგო არსენ აზალაძეს, ბათო ჯიქურმა დაამარცხა მარკ ალექსანდერი. გამარჯვებები მოიპოვეს, აგრეთვე, მარსელ



პეტერმა, დავით ბაგაურმა და სტეფან ტრენომ.

ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა გორელ ძიუდოისტთა გამარჯვებით საერთო ანგარიშით 4:3 (პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა 2:0, მეორე კი დამარცხდა 2:3).

ალექსანდრე კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე დიდი სპორტიდან საზეიმო ვითარებაში იმ ფალავნების გაცილება, ვინც პირნათლად მოიხადა ვალი როგორც სპორტსმენმა, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული და საბჭოთა სპორტის წინსვლა-წარმატებების საქმეში. სწორედ ასეთი სპორტსმენია შოთა ხაბარელი. შოთამ, როგორც მოჭიდავემ დაამთავრა გამოსვლები სპორტულ სარბიელზე, მაგრამ იგი კვლავ რჩება ხალიჩაზე, ახლა იგი როგორც მწვრთნელი აგრძელებს მუშაობას.

სურათზე: ასე გააცილეს დიდი სპორტიდან შოთა ხაბარელი.

ნანა ფინ მიიფევს

იუგოსლავიის ქალაქ ტუზლაში მოჭადრაკე ქალთა საზონთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთ ფავორიტად თამაშობენ ნანა იოსელიანი, რომელსაც ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ წაუგია და ქეთევან არახამია, რომელმაც ზედიზედ ოთხი გამარჯვება იზეიმა.

გთავაზობთ მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტურის შედეგებს:

VI ტური: ფრომეტა—სემიონოვა — 0:1, კანელა — სახატოვა — 0:1, იოსელიანი — ნიკოლინი — 1:0, ვერეცი — მატვეევა — 1:0, პეტროვიჩი-კადილკარი — 1:0, ივანკა—შილანი — 1:0, ტრაბერტი—ხოიბერგი — 0:1, ბრუსტმანი — არიასი — 1:0.

VII ტური: არიასი — ფრომეტა — 0,5:0,5, მასქიმოვიჩი — ბრუსტმანი — 0,5:0,5, ხოიბერგი — იოსელიანი — 0,5:0,5, შილანი — ტრაბერტი — 0,5:0,5, კადილკარი — ივანკა — 0,5:0,5, მატვეევა — პეტროვიჩი — 0,5:0,5, ნიკოლინი — არახამია — 0:1, სახატოვა — ვერეცი — 1:0, სემიონოვა — კანელა — 1:0.

VIII ტური: ვერეცი — სემიონოვა — 0:1, არახამია — ხოიბერგი — 1:0, ბრუსტმანი — ნიკოლინი — 1:0, არიასი — მაქსიმოვიჩი 0:1, ფრომეტა — კანელა — 0,5:0,5, ივანკა — მატვეევა — 0,5:0,5, ტრაბერგი — კადილკარი — 0,5:0,5, პეტროვიჩი — სახატოვა — 0:1, იოსელიანი — შილანი — 1:0.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნანა იოსელიანი —7 ქულა, აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი) — 6 (1), ქეთევან არახამია, გულნარა სახატოვა, ლიდია სემიონოვა — 6-6.

ტურნირის ნახევარი განვლილია

იუგოსლავიის ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში მოჭადრაკე ქალთა საზონთაშორისო ტურნირის მერვე ტურში ნონა გაფრინდაშვილი დაუზავდა ელიშკა კლიმოვას (ჩეხოსლოვაკია), მარტა ლიტინსკაია — ალისა მარიჩს (იუგოსლავია).

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მადლი-ნიუბერგი — 1:0, ფენიჩავესი — 1:0, ლელჩუკი — მარკოვიჩი — 1:0, ვოისკა — არმასი — 0:1, იზრაილოვა — ლევიტინა — 0,5:0,5, მინკიან—არკელი — 0,5:0,5.

მეცხრე ტურში ნონა გაფრინდაშვილმა შავი ფიგურებით დაამარცხა გორდანა მარკოვიჩი (იუგოსლავია), მარტა ლიტინსკაიამ — ზოია ლელჩუკი; მათ არ ჩამორჩა ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — მან ირინა ლევიტინას სძლია.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: მარტა ლიტინსკაია — 8 ქულა, ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 7, ნონა გაფრინდაშვილი — 6, ზოია ლელჩუკი და ირინა ლევიტინა — 5,5-5,5.

საბჭოთა ფეხბურთელები მსოფლიო ნაკრებში

ინგლისის საფეხბურთო ლიგა ზეიმით აღნიშნავს თავისი არსებობის ასწლიან იუბილეს, ამასთან დაკავშირებით ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე 8 აგვისტოს შედგება მეტად საინტერესო მატჩი: ინგლისის ნაკრები — დანარჩენი სამყაროს ნაკრები.

საბჭოთა ფეხბურთელები სხვადასხვა დროს მიუწვევიათ მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებ გუნდებში, მაგრამ ახლა პირველადაა, რომ მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში სამი საბჭოთა ფეხბურთელი ერთად გამოვა. ესენია: მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე რინატ დასაევი, კიევის „დინამოს“ ნახევარმცველი ალექსანდრე ბავაროვი და ამავე გუნდის თავდამსხმელი იგორ ბელანოვი.

მსოფლიო ნაკრებს ხელმძღვანელობს ინგლისელი ტერი ვენერბლზი, რომელიც ამჟამად ესპანეთის ცნობილ კლუბ „ბარსელონაში“ მუშაობს. ინგლისელთა ხელმძღვანელი იქნება ბობი რობსონი.

მსოფლიო ნაკრებში მიწვეული არიან, აგრეთვე, არგენტინელი მარადონა, ბრაზილიელი ჟოზიმარი, ფრანგი პლატინი, უნგრელი დეტარი, პორტუგალიელი ფუტრე, დანიელი ელკაერი, დასავლეთგერმანელი ბერტოლდი და [illegible]

I ლიგა

ბუშინ დაიწყო I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების II წრე.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ტიუმენის „გეოლოგი“. გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 4:1.

16-წლიანებს — სპორტის ოსტატობა

კანადის ქალაქ ტორონტოში გამართულ 16 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულ საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელებს მიენიჭათ „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის“ მაღალი წოდება. ოსტატთა ნიშნები და მოწმობები ფეხბურთელებს 27 ივლისს გადასცა სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა.

ლირსეული სასჯელი

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ განიხილა ზუგდიდის „დინამოს“ წევრის ე. ჭედიას საკითხი. მან ფეხბურთელმა საქართველოს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს.

სპორტტექნიკურმა კომისიამ ე. ჭედიას აუკრძალა ოფიციალურ საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობა. სასჯელი, რა თქმა უნდა, სამართლიანია. უდისციპლინო ფეხბურთელის მიმართ და ზომებს მიმართეს თვით ზუგდიდში?

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ II ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲡ ᲒᲕᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ...

ᲘᲛᲘᲡ გამოცნობა, როგორ ასპარეზებდნენ ჩვენი თანამოსაგენები ჭაბუკთა II რესპუბლიკური თამაშობის ფარგლებში გამართულ ჩემპიონატზე, ძნელი არ იყო. დიახ, ამ შეჯიბრებამდე (ფოთში, ივლისის შუა რიცხვებში რომ ჩატარდა) კარგა ხნით ადრე უყოყმანოდ შეიძლებოდა იმ გუნდების დასახელება, რომლებიც პირველ და ბოლო ადგილებს დაიკავებდნენ— ბათუმელებს, რა თქმა უნდა, ვერავინ აჯობებდა, რადგან ამ ბოლო დროს ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე დიდი უპირატესობით სწორედ ისინი იმარჯვებენ, თბილისელები კი ყველას ჩამორჩებოდნენ, რადგან კარგა ხანია გუნდურ შეჯიბრებაში მეოთხე ადგილს არ გასცილებიან. მეორე ადგილისთვის, როგორც წესი, სოხუმელები და ფოთელები იბრძვიან და უფრო ხშირად აფხაზეთის წარმომადგენლები იმარჯვებენ.

ასე რომ, ფოთში გამართულ შეჯიბრებაზე ახალს არაფერს ველოდით და აკი ასეც მოხდა. გუნდური ადგილები იმ თანმიმდევრობით განაწილდა, როგორც ვვარაუდობდით. მოგეხსენებათ, გუნდური შედეგი ცალკეულ სპორტსმენთა მიერ ნაჩვენები შედეგების ჯამია, ასე რომ, არც პირად პირველობაში გამოჩენილა ახალი სახელები.

ერთადერთი სიახლე ის იყო, რომ ფოთელმა აფროსნებმა ახალი საიალქნო კლუბი მიიღეს საჩუქრად. ამიერიდან რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს ბაზა აღარ ექნება საძებარი. ამ კლუბის წევრ აფროსნებს ნავსადგურის ეკვადორშიაც შეეძლებათ ვარჯიში და პალიასტომის ტბაზეც. როგორც იცით, გაიხსენ, ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული საიალქნო რეგატა აზოვის ზღვაზე ჩატარდება. პალიასტომის ტბას და აზოვის ზღვის იმ ეკვატორიას, სადაც ახალგაზრდა აფროსნები იასპარეზებენ, ერთნაირი სიღრმე აქვს. ასე რომ, მომავალი თამაშების „ციესფერ სარბიელზე“ ჩვენი აფროსნები თამამად გამოვლენ.

ფოთში საიალქნო კლუბის აგებამ ყველა გაახარა, მაგრამ ახლა ისიც შევიტყოთ, რაზე სწყდებათ გული ჩვენს აფროსნებს.

— ბათუმელები ბედს არ ემდურიან, ურიგო კლუბი არც მათ აქვთ. ფოთელების მერე სოხუმელები იზეიმებენ ახალი ბაზის მიღებას. თქვენ ის გვითხარით, თბილისელი აფროსნების დაბინავებას როდის დაადგება საშველიო — გვკითხეს შავიზღვისპირელებმა.

პასუხის გაცემა გაგვიჭირდა, რადგან თბილისის ზღვის საიალქნო კლუბის სარეკონსტრუქციო პროექტები ჯერ კიდევ პორტფელში დევს შეუსრულებელი. არადა, დრო არ ითმენს, შეიძლება შევურიგდეთ იმ ფაქტს, რომ ერთ დროს ქებული თბილისელი აფროსნები (არც თუ დიდი ხნის წინათ, რესპუბლიკის ნაკრების ღირსებას მეტწილად თბილისელები იცავდნენ) ჯერ ჩამორჩნენ, შემდეგ მთლად დათმეს პოზიციები. დიახ, ამაზე გულდინჯი და საქმიანი საუბარი გვმართებს.

ᲑᲔᲚᲘᲐᲕᲡᲙᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲐ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ქალაქ სირაკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საზოგადოებრივი ოლიმპიადის ეტაპზე, ბელიავსკი — ბოლოს ბოლოს ბელიავსკი — ბელიავსკი — ბელიავსკი —